საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის რიცხოვნობა

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

30.04.2019

www.geostat.ge

30.04.2020

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით[1]

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 716.9 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 0.2 პროცენტით ნაკლებია.

2019 წელს დაფიქსირდა დადებითი ბუნებრივი მატება (1 637) და უარყოფითი მიგრაციული სალდო (-8 243).

დიაგრამა №1

მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების კომპონენტები, ათასი კაცი



2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 59.0 პროცენტი ცხოვრობდა საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედს წარმოადგენს.

[1] მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს

ცხრილი №1

მოსახლეობის რიცხოვნობა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგიონების და დასახლების ტიპის მიხედვით, ათასი კაცი

რეგიონი	სულ	მათ შორის:	
		საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
საქართველო	**3 716.9**	**2 194.5**	**1 522.4**
ქ. თბილისი	1 184.8	1 154.3	30.5
აჭარის ა.რ.	351.9	200.6	151.3
გურია	108.1	31.2	76.9
იმერეთი	487.0	240.4	246.6
კახეთი	310.1	70.7	239.4
მცხეთა-მთიანეთი	93.3	22.3	71.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	29.1	6.8	22.3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	311.1	123.4	187.7
სამცხე-ჯავახეთი	152.1	54.1	98.0
ქვემო ქართლი	434.2	189.7	244.5
შიდა ქართლი	255.1	101.0	154.2

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

30.04.2020

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.4 პროცენტს შეადგენს, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) – 64.5 პროცენტს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი - 15.1 პროცენტს.

დიაგრამა №2

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით,
ათასი კაცი



2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მამაკაცების რიცხოვნობამ 1 790.3 ათასი კაცი შეადგინა და წინა წელთან შედარებით პრაქტიკულად უცვლელი დარჩა, ხოლო ქალების რიცხოვნობა 0.3 პროცენტით შემცირდა და 1 926.6 ათასი შეადგინა. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი მამაკაცი, ხოლო 52 პროცენტი – ქალია.

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 92.9-ს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 92.9 მამაკაცი მოდის. აღსანიშნავია, რომ 35 წლამდე ასაკში მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, ხოლო 35 წლის ასაკიდან ქალების რიცხოვნობა აღემატება მამაკაცებისას, რაც გამოწვეულია მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით.

დიაგრამა №3

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა
ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით



წინა წელთან შედარებით 2019 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 0.1 ერთეულით გაიზარდა და შეადგენს 74.1 წელს, მათ შორის მამაკაცებისათვის - 69.8 წელს, ხოლო ქალებისათვის - 78.4 წელს.

დიაგრამა №4

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა
დაბადებისას სქესის მიხედვით, წელი



2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი შეადგენს 37 წელს.

30.04.2020

მიგრაცია

2019 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 105 107 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 6.2 პროცენტით მეტია, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 9.9 პროცენტით გაიზარდა და 96 864 კაცი შეადგინა.

ამავე პერიოდში, იმიგრანტების 85.3 პროცენტი და ემიგრანტების 84.9 პროცენტი, შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენდა.

დიაგრამა №5

იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2019 წელი



2019 წელს იმიგრანტების 56.2 პროცენტს და ემიგრანტების 78.0 პროცენტს საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენდნენ.

დიაგრამა №6

იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა მოქალაქეობის მიხედვით, 2019 წელი



საკონტაქტო პირები:

შორენა წიკლაური, ტელ.: 2 36 72 10 (601), ელ-ფოსტა: shtsiklauri@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), ელ-ფოსტა: mkavelashvili@geostat.ge